სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 დეკემბერი 2025

N 819/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. თედოწმინდაში, შპს „გრავიტექ ცემენტ“-ის ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. თედოწმინდაში, შპს „გრავიტექ ცემენტ“-ის ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N72;
2. შპს „გრავიტექ ცემენტი“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N72 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გრავიტექ ცემენტ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრავიტექ ცემენტ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/819-21-4-202512301538

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE